სს „საქართველოს რკინიგზა“

# *Cargo.railway.ge-ზე განხორციელებული ცვლილებების ინსტრუქცია*

2026

# სარჩევი

„სხვა მიმღები“-ს ველი ........................................................................................................................................3

ექსპედიტორის ველი ........................................................................................................................................5

ექსპორტისა და ზღვით შემოსული იმპორტის დროს ტვირთის შეფუთვის (Packing list) ინფორმაციის შეყვანა........................................................................................................................................6

*ტვირთის შეფუთვაზე (Packing list) ინფორმაციის შეყვანა შეფუთვების მოდულიდან*..........................14

# ,,სხვა მიმღები“-ს ველი

**,,ახალი ზედნადები“**-ს ჩანართში გადასვლისას, მეოთხე გრაფაში დაემატა ახალი ველი <u>,,სხვა მიმღები“.</u>







,,მიმღების“, ,,სხვა მიმღების“ ველის შევსების პრინციპი საერთაშორისო გადაზიდვების დროს, იცვლება შემდეგნაირად:

- **,,მიმღების“** ველი საერთაშორისო გადაზიდვების დროს აღარ შეივსება ხელით. ახალი ზედნადების ფორმის გახსნისას (საერთაშორისო გადაზიდვის დროს) აღნიშნული ველი იქნება ჩამქვრალი, არარედაქტირებადი და მასში ავტომატურად იქნება ამორჩეული მნიშვნელობა **,,1 - იხილეთ შენიშვნა“.** დამატებითი ინფორმაცია უნდა შეივსოს შენიშვნის ველში, კომენტარის სახით.

- **,,სხვა მიმღების“** ველი ასევე იქნება ჩამქვრალი საერთაშორისო გადაზიდვების დროს და გააქტიურდება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ტვირთს დანიშნულების ქვეყანაში მიეთითა ან აზერბაიჯანი ან სომხეთი და **მისი შევსება იქნება სავალდებულო.** სხვა

დანიშნულების ქვეყნის შემთხვევაში (მაგ: ყაზახეთი, რუსეთი და ა.შ) ველი ჩამქვრალია, არარედაქტირებადი და შესაბამისად არასავალდებულო. აღნიშნულ ველში ეთითება აზერბაიჯანის/სომხეთს ცნობარიდან მიმღები, მათი სარეგისტრაციო კოდებით, ამორჩეული მიმღების დასახელება ავტომატურად ჩაჯდება შენიშვნის ველშიც. სხვა დამატებითი ინფორმაცია უნდა შეივსოს შენიშვნის ველში, კომენტარის სახით.








**!!!** გასათვალისწინებელია, თუ ტვირთის დანიშნულების ქვეყანაში მიეთითა აზერბაიჯანი/სომხეთი და სხვა მიმღების ველი დარჩა ცარიელი, ახალი ზედნადების ფორმირების პროცესი ვერ დასრულდება. თუ ცნობარში არ მოიძებნა სასურველი მიმღები, უნდა ამოირჩეს მნიშვნელობა ,,1- იხილეთ შენიშვნა“.

# ექსპედიტორის ველი

**,,ახალი ზედნადები“**-ს ჩანართში გადასვლისას, საერთაშორისო გადაზიდვის დროს, მე-6 გრაფაში დაემატა ახალი ველი ,,ექსპედიტორი“.






 პლუს ღილაკზე დაჭერით დაემატება შესავსები ველები, სადაც პირველ რიგში უნდა ამოირჩეს ქვეყანა, შემდეგ სასაზღვრო გადასასვლელი სადგური და ბოლოს ექსპედიტორი.




ქვეყნის არჩევის შემდეგ, ექსპედიტორის ცნობარში წამოიღებს მხოლოდ არჩეული ქვეყნის შესაბამის ექსპედიტორთა სიას. (თუ პირველ რიგში არ ამოირჩა ქვეყანა, ექსპედიტორის ცნობარის გახსნისას მონაცემები არ ჩაიტვირთება) მონაცემის ამორჩევა შესაძლებელია ცნობარიდან, ან და კოდის ველში, კოდის მითითებით.

აღნიშნულ ველში ინფორმაციის შეყვანა სავალდებულოა ყველა იმ ქვეყნისთვის რომელსაც გაივლის ტვირთი, გარდა ტვირთის გამომგზავნი და ტვირთის დანიშნულების ქვეყნებისა

მაგ: თუ ტვირთის მარშუტი არის: საქართველო -> აზერბაიჯანი -> ყაზახეთი -> ჩინეთი ----- ექსპედიტორის მითითება სავალდებულოა აზერბაიჯანისა და ყაზახეთის შემთხვევაში, ხოლო საქართველოსა და ჩინეთის შემთხვევაში სურვილისამებრ შესაძლოა მიეთითოს.

## ექსპორტისა და ზღვით შემოსული იმპორტის დროს ტვირთის შეფუთვის (Packing list) ინფორმაციის შეყვანა



ახალი ზედნადების ფორმირების შემდეგ, როდესაც ჩანაწერის სტატუსი გახდება **draft,** კლიენტს გამოუჩნდება ახალი აიქონი




აიქონზე დაჭერით კლიენტი გადავა ახალ ,,შეფუთვების“ მოდულზე, სადაც უნდა შეივსოს ინფორმაცია ტვირთის შეფუთვის (Packing List) შესახებ.

მოდულში გადასვლისას ახალი ზედნადების ფორმიდან ავტომატურად წამოიღებს შემდეგ მონაცემებს:

- საგზაო უწყისი და სერია;
- გზის კოდი;
- განაცხადის ნომერი;
- გზავნილის სახეობა;




კლენტმა გზავნილის სახეობის მიხედვით უნდა მიუთითოს ვაგონის ნომერი ან და სუფიქსი/კონტეინერი და ამის შემდეგ დააჭიროს მიების ღილაკს, რათა სისტემაში გადამოწმდეს კორექტულად არის თუ არა ყველა მონაცემი შეყვანილი; თუ მონაცემი კორექტულად არის შევსებული ჰედერის ველები ჩაქრება, გახდება არარედაქტირებადი და გააქტიურდება შენახვის ღილაკი.

- ვაგონის ნომერი (თუ გზავნილის სახეობაში არჩეულია სავაგონო) შევსება **სავალდებულოა** სავაგონო გზავნილის დროს;
- სუფიქსი / კონტეინერის ნომერი (თუ გზავნილის სახეობაში არჩეულია საკონტეინერო) შევსება **სავალდებულოა** საკონტეინერო გზავნილის დროს;



სხვა შესავსები ველები ჰედერში:

- გაფორმების თარიღი - შევსება **სავალდებულოა;**
- შენიშვნა - შევსება **არასავალდებულოა;**
- ტვირთის HS კოდი და ტვირთის GNG კოდი - ჩანაწერის შენახვისას არასავალდებულოა მითითება, თუმცა საბოლოო გადაგზავნის მომენტში უნდა ფიქსირდებოდეს სრულყოფილი ფორმატისთვის;
- კონტეინერი როგორც ტვირთი - მონიშვნა არასავალდებულოა. **მონიშვნის პრინციპი:** თუ კონტეინერი ინვოისში მითითებულია როგორც ტვირთი, მაშინ სისტემაში უნდა მოინიშნოს ალამი: **"კონტეინერი როგორც ტვირთი"**. ინფორმაცია მითითებულია **SMGS-ის მე-3 გრაფაში კომენტარის სახით** და ასევე მოჰყვება **ინვოისი/Packing list კონკრეტულად კონტეინერზე.**

ასევე, კლიენტმა უნდა შეავსოს მონაცემები ცხრილში ტვირთის შეფუთვის (Packing List) შესახებ



- **Country From** - გამომგზავნი ქვეყნის კოდი (კოდის გადამოწმება შესაძლებელია ახალ ზედნადებში გამგზავნი/დანიშნულების ქვეყნების ცნობარებში) <u>შევსება სავალდებულოა</u>; 

- **Country To** - მიმღები ქვეყნის კოდი (კოდის გადამოწმება შესაძლებელია ახალ ზედნადებში გამგზავნი/დანიშნულების ქვეყნების ცნობარებში) <u>შევსება სავალდებულოა</u>;
- **Customer Sender** - ტვირთგამგზავნი. <u>შევსება სავალდებულოა</u>;
- **Customer Receiver** - ტვირთმიმღები. <u>შევსება სავალდებულოა</u>;
- **Description** - ტვირთის დასახელება. <u>შევსება სავალდებულოა</u>;
- **HS Code** – HS კოდი (არ უნდა აღემატებოდეს ათ ციფრს) <u>შევსება სავალდებულოა</u>;
- **CTN** - შეფუთვების რაოდენობა. <u>შევსება არასავალდებულოა;</u>
- **U/CTN** - შეფუთვაში ერთეულის რაოდენობა. <u>შევსება სავალდებულოა;</u>
- **Quantity** - რაოდენობა. <u>შევსება სავალდებულოა</u>;
- **Neto Weight (KGS)** - ნეტო წონა. <u>შევსება სავალდებულოა</u>;
- **Gross Weight (KGS)** - გროსი წონა. <u>შევსება სავალდებულოა</u>;
- **Note** - ყველა დამატებითი ინფორმაცია. <u>შევსება არასავალდებულოა</u>.

**!!!** კლიენტმა შეფუთვის დეტალები უნდა შეავსოს მანამ სანამ ზედნადების სტატუსი არის **„საჭიროებს კლიენტის ხელმოწერას“.** ხელმოწერის შემდეგ შეფუთვების ინფორმაციის გაკორექტირება ვეღარ მოხდება და აღარც შემდგომ მიბმული მონაცემები იქნება ვალიდური საბაჟოსათვის.

ტვირთის შესახებ ინფორმაციის შეყვანა ცხრილში შესაძლებელია, როგორც ექსელის ატვირთვით, ასევე ცხრილში მონაცემების ხელით შეყვანით.

ცხრილში  ღილაკზე დაჭერისას დაემატება ახალი ველი ჩანაწერებისათვის.



თუ მონაცემები არასწორად მიეთითა და შენახვის შემდეგ გსურთ კორექცია, უნდა წაიშალოს ველი  და შემდეგ ხელახლა მოხდეს კორექტული მონაცემებით დამატება. ასევე თუ მომდევნო ჩანაწერი წინას იდენტურია, ან და საჭიროებს მცირე კორექციას, შესაძლებელია ველის დუბლირებით დაემატოს ახალი ჩანაწერი 

დუბლირებული ჩანაწერი დაემატება ცხრილის სათავეში.

ექსელით მონაცემების ასატვირთად უნდა შეივსოს შაბლონის ფორმა, რისთვისაც საჭიროა ჩამოიტვირთოს წინასწარ შექმნილი შაბლონი. 

შაბლონის ჩამოტვირთვისა და შევსების პროცესში, არ უნდა ამოიშალოს ან და ჩაემატოს დამატებითი სვეტები სტრუქტურაში. თუ რაიმე მონაცემი არ არის ცნობილი ველი უნდა დარჩეს ცარიელი, ხოლო თუ დამატებითი მონაცემია შესაყვანი და არცერთი ველი არ შეესაბამება, ინფორმაცია უნდა მიეთითოს კომენტარის გრაფაში.

შაბლონის სტრუქტურა განისაზღვრა შემდეგნაირად:

| | A | B | C | D | E | F | G | H | I | J | K | L | M |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | NO | COUNTRY FROM | COUNTRY TO | CUSTOMER SENDER | CUSTOMER RECEIVER | DESCRIPTION | HS CODE | CTN | U/CTN | QTY | N.W(KG) | G.W(KG) | NOTE |
| 2 | | | | | | | | | | | | | |
| 3 | | | | | | | | | | | | | |

შევსებული შაბლონის ასატვრთვისა 

და გრიდში/ცხრილში გაანაწილების შემდეგ უნდა შევინახოთ მონაცემები 

***!!!*** ცხრილში ყველა ველის შევსება სავალდებულოა გარდა CTN, U/CTN და შენიშვნა.

ჩანაწერის შენახვის შემდეგ ინფორმაცია ჩავარდება შეფუთვები -> დათვალიერების ჩანართში.





პერიოდი 11/07/2026 - 13/07/2026

| | | N | საგ.უწყისის ნომერი | სერია | გზის კოდი | გზავნილის სახეობა | ვაგონი | კონტეინერი | სუფიქსი | კონტეინერი როგორც ტვირთი | განაცხადის ნომერი | შენიშვნა | გაფორმების თარიღი | სისტემური თარიღი | მომხმარებელი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ძებნა | | | | | | | | | | | | | | | |
| | | 175 | 466356 | GR | 28 | საკონტეინერო | 0 | 1234567 | rrrr | არა | 835251 | | 01/07/2026 | 12/07/2026 23:41 | anglo |
| | | 174 | 466354 | gr | 28 | საკონტეინერო | 0 | 6543287 | vvvv | არა | 835251 | 5555555555 | 01/07/2026 | 12/07/2026 18:10 | anglo |
| | | 173 | 466354 | GR | 28 | საკონტეინერო | 0 | 5603524 | mmmm | არა | 835251 | 222222222222 | 01/07/2026 | 12/07/2026 18:04 | anglo |
| | | 172 | 466353 | GR | 28 | საკონტეინერო | 70701073 | 3266546 | HHHH | არა | 835251 | | 20/07/2026 | 12/07/2026 14:17 | anglo |
| | | 171 | 466352 | GR | 28 | საკონტეინერო | 0 | 5588779 | ssss | არა | 835251 | | 01/07/2026 | 12/07/2026 13:57 | anglo |

ველი **„ძებნა“** გამოიყენება ფილტრაციისთვის სასურველი ჩანაწერის მოსაძებნად ჩანაწერიდან რაიმე ინფორმაციის ძიების ველში მითითებით:



| დეკლარაციის ნომერი | სუფიქსი | კონტეინერი | ტარა | ფუტიანობა | ტიპომოდა | საგ.უწყისის ნომერი | სერია | გაფორმების თარიღი | გზის კოდი | შენიშვნა | ტვირთგამგზავნი | ტვირთმიმღები | გამგზავნი ქვეყანა | დანიშნულების ქვეყანა | გამგზავნი სადგური | დანიშნულების სადგური | ვაგონი | ადგილების რაოდენობა | წონა(კგ) | მომხმარებელი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ძებნა | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |



ასევე შესაძლებელია ჩანაწერის ძიება თარიღის მითითებით;

თუ დათვალიერების ცხრილში დავდგებით კონკრეტულ ჩანაწერზე (მონიშნული შეფუთვის ჩანაწერის შეფერილობა არის მწვანე ფერში), სისტემა ქვედა გრიდში გამოგვიტანს ტვირთის შესახებ შეტანილი ინფორმაციის ჩამონათვალს:



| | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 172 | 466353 | GR | 28 | საკონტეინერო | 70701073 | 3266546 | HHHH | არა | 835251 | | 20/07/2026 | 12/07/2026 14:17 | anglo |
| | | 171 | 466352 | GR | 28 | საკონტეინერო | 0 | 5588779 | ssss | არა | 835251 | | 01/07/2026 | 12/07/2026 13:57 | anglo |

| Country From | Country To | Customer Sender | Customer Receiver | HSCode | HS Name | CTN | UTCN | Quantity | Neto Weight | Gross Weight | Note |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ძებნა | | | | | | | | | | | |
| 268 | 398 | ":Lkjh | ;lkjhg | 38254685 | ;lkjhg | 0 | 0 | 520 | 520 | 8520 | |
| 456 | 678 | dfgh2 | fghj2 | 3456789 | rtyu | 0 | 0 | 50 | 8000 | 2000 | |
| 456 | 678 | dfgh | fghj | 3456789 | rtyu | 0 | 0 | 50 | 8000 | 2000 | |
| 268 | 398 | tre2 | trfd2 | 250125789 | gfxdc | 0 | 0 | 10 | 5000 | 4000 | |
| 268 | 398 | tre | trfd | 250125789 | gfxdc | 0 | 0 | 10 | 5000 | 4000 | |



**ფაილების ატვირთვის** ღილაკით შესაძლებელია საჭირო დოკუმენტების ატვირთვა სისტემაში. ღილაკის გააქტიურებით სისტემა გამოიტანს ფაილების ატვირთვის ფანჯარას,




ღილაკის „Choose files" გააქტიურებით სისტემა გაგვიყვანს ლინკზე, საიდანაც შევძლებთ სასურველი ფაილის წამოღებას ასატვირთად და ატვირთვის ღილაკის გააქტიურებით სისტემაში ჩაიწერება ატვირთული ფაილი:




 ღილაკის გააქტიურებით შესაძლებელია ატვირთული დოკუმენტის დათვალიერებაზე გახსნა.

 ღილაკის გააქტიურებით შესაძლებელია ატვირთული ფაილის წაშლა.

**დათვალიერების** ღილაკის 

გააქტიურებით შეფუთვების ჩანაწერი გაიხსნება დათვალიერების და კორექტირების რეჟიმში:




სადაც გასაკორექტირებლ მონაცემებად წამოიღებს ყველაფერს გარდა: საგზაო უწყისი, გზის კოდი და გზავნილის სახეობა. ნებისმიერ ცვლილებამდე აუცილებელია ჯერ შემოწმების აიქონზე დაჭერა , ცვლილების შემდეგ კი ჩანაწერის **შენახვა** .

## ღილაკები




ღილაკით **ვინახავთ** ფორმას შევსებული ინფორმაციით.




ღილაკით **სუფთავდება** ფორმაში შევსებული ველები.




ღილაკით შეგვიძლია ინვოისს **მივაბათ ფაილი.**

ფაილის ფორმატი უნდა შეესაბამებოდეს შემდეგს:

.png, .jpeg, .jpg, .svg, .xlsx, .xls, .csv, .doc, .docx, .pdf, .ods, zip, .7z, .rar.

ასევე ფაილის ზომა არ უნდა აღემატებოდეს 120MB




ღილაკით შეგვიძლია **წავშალოთ** არსებული ინვოისი.

## *ტვირთის შეფუთვაზე (Packing list) ინფორმაციის შეყვანა შეფუთვების მოდულიდან*

packing list-ის მონაცემების შესაყვანად უნდა გააქტიურდეს მენიუ **„შეფუთვები -> „შეფუთვების ატვირთვა“:**




რის შედეგადაც გაიხსნება ფორმა:



კლიენტმა უნდა შეიყვანოს შემოწმებისათვის აუცილებელი ველები:

- საგზო უწყისი;
- გზის კოდი;
- გზავნილის სახეობა;
- შეავსოს გზავნილის სახეობის შესაბამისი ველი (ვაგონი ან და სუფიქსი და კონტეინერი)

ამის შემდეგ უნდა დააჭიროს  შემოწმების აიქონს, თუ მსგავსი ჩანაწერი უკვე არსებობს გამოიტანს ძველ ჩანაწერს ყველა შევსებული ველით და შესაძლებელი იქნება გაკორექტირება, ხოლო თუ ახალი უნიკალური ჩანაწერი იქმნება გააქტიურდება შენახვის ღილაკი. შენახვის შემდეგ ჰედერის ველები ჩაქვრაბა და კლიენტმა უნდა შეიტანოს სხვა დამატებითი მონაცემები. დანარჩენი ველებისა და შეფუთვების ცხრილის შევსების პრინციპი უცვლელია (ივსება ახალი ზედნადების ცხრილიდან შეფუთვების აიქონით გადმოსვლის მსგავსად )

## !!! დამატებითი შენიშვნები

- იმ შემთხვევაში თუ მომხმარებელმა სცადა უკვე დამატებული ჩანაწერის ხელახლა დამატება, შემოწმებისას გამოვა ძველი ჩანაწერი გაკორექტირების რეჟიმში, რათა არ მოხდეს მონაცემების დუბლირება.

- თუ არის ჯგუფური გადაზიდვა, შეფუთვებში ჩანაწერები უნდა დაემატოს ყველა ვაგონსა და კონტეინერზე, სათითაოდ.